ალლაჰის შუამავალზე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გამოცხადება დაიწყო მაშინ, როცა ის იყო ორმოცი წლის

გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ მან თქვა: ალლაჰის შუამავალზე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გამოცხადება დაიწყო მაშინ, როცა ის იყო ორმოცი წლის. მან მექაში დაჰყო ცამეტი წელი, შემდეგ კი მიიღო ბრძანება ჰიჯრაზე (მექქადან გადასახლებაზე), და ის გადასახლდა მედინაში. მედინაში დარჩა ათი წლის განმავლობაში, შემდეგ კი გარდაიცვალა (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას).

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

იბნ აბბასმა (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კამყოფილი) აცნობა, რომ ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გამოცხადება მოევლინა და ის გაგზავნილ იქნა წინასწარმეტყველური მისიისთვის, როდესაც მას ორმოცი წელი შეუსრულდა. ის ცამეტი წლის განმავლობაში იმყოფებოდა მექაში გამოცხადების დასაწყისიდან, შემდეგ კი მას უბრძანეს ჰიჯრა (გადასახლება) მედინაში, სადაც მან კიდევ ათი წელი იცხოვრა. სამოცდასამი წლის ასაკში მან დატოვა ეს სამყარო(ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას).

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/65050